



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი

16/02/2024



MES 3 24 0000188401

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41757 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41757 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და დანართი №1-ში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: „2028 წლის 1 ივლისი“.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №179610 ოქმის №8 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი

